

მუჟავას ადმინისტრაციული ერთეულის საერთო კრება

საერთო კრების ოქმი N 1

საერთო კრების გამართვის ადგილი და თარიღი:

მუჟავას ადმინისტრაციული ერთეულის კლუბი 02.03.2017 წელი

გამართა მუჟავას ადმინისტრაციული ერთეულის საერთო კრება. აღნიშნულ ერთეულში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 704 ამომრჩეველს, კრებას ესწრებოდა ამომრჩეველთა 55%.

კრებას თავმჯდომარეობდა ერეკლე ფიფია

კრებას მდივნობდა ფლორა შამუგია

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. ადმინისტრაციული ერთეულის რჩეულის არჩევის შესახებ.
2. ცენტრალური გზის რეაბილიტაციის შესახებ.
3. სასმელი წყლის სისტემის გაყვანა
4. შიდაგზების მოხრეშვა

საკითხის ინიციატორი ვალერ ანთია

საკითხის ინიციატორმა საერთო კრებას გააცნო შემდეგი მოსაზრებები:

1. სოფელში მოუწესრიგებელია ცენტრალური და შიდა გზები რაც პრობლემას უქმნის მოსახლეობის გადაადგილებას.
2. სოფლის მოსახლეობის ნაწილს არ გაჩნია სასმელი წყალი რაც დიდ პრობლემას უქმნის მათ, ზაფხულში შრება წყაროს წყლები, ზამთარში კი ძნელია შორი მანძილიდან წყლის ზიდვა.
3. ინიციატორმა წამოაყენა საკითხი ადმინისტრაციულ ერთეულში რჩეულთა საბჭოს შექმნის შესახებ, დაასახელა რჩეულთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის კანდიდატურები, თავმჯდომარედ დასახელდა ლიონ ჩხაპელია, მდივნად ეკატერინე ცაავა.

საკითხის შესახებ გამოითქვა შემდეგი მოსაზრებები:

1. პრიორიტეტად დასახელდა ცენტრალური გზის რეაბილიტაცია
2. რჩეულთა საბჭოს თავმჯდომარის და მდივნის არჩევა

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა რომელიც დასრულდა შემდეგი შედეგებით:

ცენტრალური გზის რეაბილიტაციას მხარი დაუჭირა დამსწრეთა აბსოლიტურმა უმრავლესობამ.

რჩეულთა საბჭოს თავმჯდომარედ ლიონ ჩხაპელიას და მდივნად ეკატერინე ცაავას არჩევას მხარი დაუჭირა 305 წევრმა ხოლო წინააღმდეგი 70 თავი შეიკავა 10 წევრმა.

კრების თავმჯდომარე: *ე. ზიფი* /ერეკლე ფიფია/

კრების მდივანი: *გ. შაქუა* /ფლორა შამუგია/